დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 281 ხუთშაბათი, 17 დეკემბერი 1909 წ. № 281

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე [illegible] თი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ხება ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ **1910** წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროები"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თეის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—64)

გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა**. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი**.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება**.

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა**.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია**.

(20—10)

იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა

წარმოდგენა № 22. **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 22.**

აბონიმენტი მე-10

შაბათს, 19 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ავადმყოფობის შემდეგ **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით

გაგრაჭ მეოთხე

ისტორიული დრამა 4 მოქმედებად გადმოკეთებული კ. მესხის-მიერ.

— **თეოფილე გვიჩიას როლს შეასრულებს ვასო აბაშიძე** —

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: 20 კაპ. 1 მ. 50 კაპეიკამდე.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი**. რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე**.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 19 დეკემბერს

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **კ. ნ. შათირიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება:

„ქოჩრიანი ტოროლა"

პიესა 4 მ. ვილდენბრუხისა, თარგმ. ს. ტ—ძისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 31 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება შილლერის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ყაჩაღები".

რეჟის. **კ. შათირიშვილი**. ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი**.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—226)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირბიჩნაია). (0—15)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—74)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—6)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—25)

ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნეისისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—87)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. გორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—73)

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ქუთაისი მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა. ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—24)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—132)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება მესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—84)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.

ბოგუთვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ბებ., ქალ., ყოველდღე 1—2

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით. (00—ნ.—128)

ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—61)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოჯლ.კას ქუჩა N 25.

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—61)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—322)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—128)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო სახღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст. Скра Закавк. К. Жел, Дороги, (15—დ—15)

სახალხო უნივერსიტეტი

ზუბალაშვილების სახალხო სახლში **ლექცია ექიმ ფიოდოროვისა** „დაღლილობის ფიზიოლოგია", დანიშნული 13 დეკემბრისთვის, კამისარჟევსკაიას გასტროლის გამო, გადაიდო კვირას, 20 დეკემბრისათვის. დასაწყისი დილის 11½ ს. ფასი 5 კ.—10 კ. (1—1)

ტფილისი, 17 დეკემბერი

მიუხედავად იმისა, რომ წ.-კ. საზოგადოების კრებამ უარ-ჰყო გამგეობის გარეშე პირთაგან შემდგარ განსაკუთრებულ სარევიზიო კომისიის არჩევის საჭიროება „საზოგადოების" ქონების შესამოწმებლად, ამ საგნის შესახებ საზოგადოებაში და პრესაში სჯა-ბაასი და ლაპარაკი არ შეწყვეტილა. ამიტომ ჩვენ კიდევ ვუბრუნდებით ამ საკითხს და ვამბობთ.

ეჭვს გარეშეა „საზოგადოების" ქონება უნდა იყოს შემოწმებული. ხოლო ვინ უნდა იყოს შემმოწმებელი—„საზოგადოების" გამგეობა თუ კრების მიერ არჩეული სპეციალური კომისია? უსათუოდ გამგეობა, თუ მას ვენდობით. უსათუოდ სპეციალური კომისია, თუ ეს ნდობა გამგეობისადმი არა გვაქვს.

და ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით, როდესაც ვაჩერებდით მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ გამგეობის მოქმედება იმ ხასიათისაა, რომ სავსებით დაიმსახურა ჩვენი ნდობა და რომ სწორედ ამ ნდობის გულისათვის წინააღმდეგნი ვიყავით ამ გამგეობის კონტროლისა განსაკუთრებულ კომისიის მიერ.

როგორც მკითხველმა იცის, გაზეთი „მომავალი" სხვა ნიადაგზე სდგას. მისის აზრით, გამგეობა ნდობის ღირსი არ არის და ამიტომ საჭიროა ზემოაღნიშნულ კომისიის არჩევაო. როდესაც ჩვენ გაზეთ „მომავლის" აზრს ვაცნობდით მკითხველს, განზრახ გაზეთებიდან მოგვყავდა მისი სიტყვები ფრჩხილებში, რადგან გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დაინტერესებულ საგანზე თვით მოპირდაპირე ალაპარაკო. და ჩვენი მოპირდაპირე სულ იმას გაიძახოდა, რომ გამგეობამ დანაშაულობა ჩაიდინა და რომ საზოგადოება მას ველარ ენდობა. და მართლაც ამ ნიადაგზე უნდა მდგარიყო ყოველი ადამიანი, ვინც მომხრე იყო განსაკუთრებულ კომისიის არჩევისა, რადგან ამ კომისიის არჩევას აზრი ეკარგებოდა, თუ გამგეობისადმი უნდობლობას ადგილი აღარ ექნებოდა. ამრიგად ნდობის და უნდობლობის საკითხი გახდა მთავარ საკითხად და ამ მთავარ საკითხის გადაწყვეტის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო კომისიის არჩევის საკითხიც. და იგი ისედაც გადასწყდა.

„მომავალი" კი (№ 91) თავის „მედგარ" ბ-ნ გალიორკას პირით დღეს გვაუწყებს: „ჩვენ არაფერს არ ვამბობთ იმის შესახებ, თუ ვინაა დამნაშავე. ეს სულ სხვა კითხვაა". არა, ბ-ნო გალიორკა, არც ასეთი გულმავიწყობაა კარგი. თქვენ სწორედ ამას გაიძახოდით წინა წერილებში. და ჩვენ სწორედ ამ თქვენის უსაფუძლო ბრალდების წინააღმდეგ გამოვედით. „ეს სულ სხვა კითხვააო". სხვა კითხვა არ გახლავთ, არამედ ცენტრალური. თუ გამგეობას ენდობით, ქონებასაც მას შეამოწმებინებთ, თუ არ ენდობით, კომისიას მიანდობთ ამ საქმეს. ეს არის თავი და თავი საგანი ჩვენის უთანხმოებისა. „მომავალს" ეს ვითომ არ ესმის და რადგან მან „უნდობლობის პრობლემა" ვერ დაიცვა, ახლა სცდილობს ეს ორი საკითხი ერთმანეთს გააშოროს. „აქ ახალი თუ ძველი გამგეობის დანაშაულობის კვლევა-ძიებაზე კი არ არის ლაპარაკი,—განაგრძობს ავტორი,—არამედ ყველა ქონების შემოწმებაზე და აი სწორედ ასეთი შემოწმება გადასწყვეტს იმ კითხვასაც, თუ ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ამა თუ იმ ზარალის, თუ უმოქმედობის შესახებაო". დააკვირდით ამ სიტყვებს და ნახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მომავალს" დღეს თითქოს აღარ უნდა ნდობა-უნდობლობაზე ლაპარაკი, იგი მაინც ამ უნდობლობის ნიადაგზე სდგას. იგი მზად არის ნდობა გამოუცხადოს გამგეობას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც განსაკუთრებული კომისია შეამოწმებს ქონებას. ასე რომ ნდობა-უნდობლობის კითხვას „მომავალი" ვერსად ვერ გაექცევა, თუმცა სცდილობს დღეს ეს საგანი სხვა საკითხად გაასაღოს.

მაშ ამ ნიადაგზე ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება, ხოლო შეიცვლის თუ არა „მომავალი თავის პოზიციას, ეს მისი სინიდისის საქმეა. ვამბობთ „სინიდისის", რადგან ამ საგანზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ „მომავალი" სხვა იარაღითაც გვეომება. სიცრუეში გვდებს ბრალსა. ჩვენა ვწერდით, რომ დღემდე შემოწმებულია მხოლოდ საწყობი და მაღაზია და დანარჩენი ქონება საზოგადოებისა კი ჯერ ხნობით შემოწმებული არ არისო. ამას ვწერდით და დღესაც ამას ვამბობთ. „მომავალი არწმუნებს თავის მკითხველს, რომ ჩვენ ვსთქვით ტყუილი, რომ ყველა ქონების რევიზია უკვე იყო და თავმჯდომარის სიტყვებსა იმოწმებს. „ცრუ და ყალბი ცნობებით გვეკამათება „დროება"—ამბობს გაზეთი და ამ ყალბი ცნობების ჭეშმარიტებათ ქცევით ლიმობს ჩვენი აზრის გაბათილებს და თავისის გასაღებასაო". ვნახოთ ახლა, რამდენად მართალია „მომავალი".

სარევიზიო კომისიის მოხსენება-

ში ვკითხულობთ: „გამგეობამ „საზოგადოების“ ბიბლიოთეკებიც უნდა შეამოწმოს ყოველ წელს და ამათ შესახებ მოხსენებაც თავისს წლიურ ანგარიში მოათავსოსო“. გარდა ამისა: „კომისიას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ „საზოგადოების“ მუზეუმის ნივთები აღნუსხული არ არის. დღესაც იმას ვამბობთ, რომ ამგვარად მუზეუმის დაცვა-შენახვა შეუძლებლად მიგვაჩნიაო“. ვფიქრობთ, რომ ეს ცნობებიც საკმარი იყო იმის სათქმელად, რომ ჯერ ხნობით „საზოგადოების“ ქონების შემოწმება (გარდა მაღაზია-საწყობისა) გამგეობას არ მოუხდენია. ეს იმას არა ნიშნავს, რომ გამგეობას შემოწმების საქმე არ დაუწყვია. მას უკვე შეუმოწმებია მთავარი წიგნთ-საწყობი და „საზოგადოების“ თანხები და კასსა. ბ-ნი თავმჯდომარეც სწორედ ამას ამოწმებდა. მაგრამ ყოველივე ეს „საზოგადოების“ ქონების რევიზიად არ ჩაითვლება. თუ გამგეობა დაკმაყოფილდება ამ დაუმთავრებელ რევიზიით, ჩვენ პირველნი გამოვალთ და მოვსთხოვთ საზოგადოებრივ კონტროლს. ხოლო საქმეც ეგ არის, რომ თვითონ გამგეობა აცხადებს, რევიზია არ დაგვისრულებიაო. „დაწყებულია მუზეუმის შემოწმება და სისტემატიზაცია, ხოლო შეჩერდა უადგილობისა გამო და ეს მუშაობა გაგრძელდება მუზეუმის ახალ შენობაში გადატანის შემდეგ, ვკითხულობთ თავმჯდომარის მოხსენებაში. რაც შეეხება „საზოგადოების“ ბიბლიოთეკების რევიზიას, იგი ჯერ არც კი დაწყებულა. ყველა ამის მიხედვით, ჩვენ სრული უფლება გვქონდა გვეთქვა, რომ „საზოგადოების„ ქონების რევიზია ჯერ არ მოუხდენიათ ჩვენი განძი მუზეუმია. და მუზეუმს დღემდე ინვენტარის წიგნი არა აქვს. დაწყებული რევიზია რევიზიად არ მიგვაჩნია. რევიზია უნდა იყოს სრული და ყოველმხრივი და ქონების შემოწმების ანგარიში უნდა იყოს დაბეჭდილი ისე, როგორც დაბეჭდილია მაღაზია—საწყობის რევიზიის საქმეები. როცა ყოველივე ეს ხელში გვექნება, მაშინ ვიტყვით, რომ ქონების შემოწმება მართლაც მოხდა. დღემდე კი ამისი თქმა არ შეიძლება. ამას არც გამგეობა ამბობს. და თუ იტყვის გამგეობის აზრი ჩვენთვის კანონი არ არის.

ურიგო არ იქნება გაზეთმა „მომავალმა“ მეტი წინდახედულება და აზრიანობა დაიცვას ხოლმე სჯა-ბაასის დროს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთის სინამდვილეს კარგად ვიცნობთ და კიდეც განვიცდით ამ სინამდვილის შედეგებს. ვიცით დერჟიმორდათა მართვა-გამგებლობა და მარკოვ მეორეთა კანონმდებლობა. დიახ, ჩვენის თვალით ვხედავთ ყველა ამას, მაგრამ წარმოუდგენელია დღევანდელი ბატონობა ხანგრძლივ მოვლენად ჩაითვალოს. შესაძლებელია ცხოვრების ისტორიულ მსვლელობის დროებით შეფერხება, მაგრამ ამასთან შეუძლებელია ამდენს ალმართს დაღმართიც არ მოჰყვეს.

გაზეთ „რუსსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით „რუსეთის რეაქციის მომავალი“. წერილის ავტორი გვაცნობს შინაარს ბარონ ენგელგარტის წერილისას, რომელიც დაიბეჭდა ერთ გერმანულ ჟურნალში. ენგელგარტი დიდხანსა სცხოვრობდა, რუსეთში, როგორც გერმანულ გაზეთების თანამშრომელი და კარგადაც იცნობს რუსეთის ცხოვრებას. მოვიყვანთ წერილის ზოგიერთ ადგილს.

ბევრ გერმანელ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ რუსეთში დღეს ყველაფერი ძველი უცვლელად დარჩა. თავზარდაცემულმა მთავრობამ კონსტიტუცია მისცა ხალხს, მაგრამ რაკი შეატყო, რომ რევოლიუცია გარდამავალი აფეთქება იყო, მისცა რაღაც გასართობსავით სათათბირო. ნამდვილად კი მთავრობა ძირიან ფესვიანად სპობს კონსტიტუციონალურ გარანტიებს და კვლავ ისევ თვითმპყრობელობის ბჭეებს ამაგრებს. პოლიტიკურ ევოლიუციის ასეთი მდგომარეობა შეიძლება კიდეც შეეფერებოდეს გერმანელ და რუსს რეაქციონერთა სულის კვეთებას, მაგრამ ახლო მომავალი იმედებს გაუცრუებთ მათ, რადგან რუსეთის განვითარებაში მონაწილეობის მიმღები ძალები სხვა მხარეზე მიეწევიან საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ასე ოპტიმისტურად უყურებს ბარონი ენგელგარტი რუსეთის დღევანდელ ცხოვრებას. ფაქტად აღიარებს საშინელს, სულის შემხუთველ რეაქციას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ რაც უნდა იმეცადინონ ბიუროკრატიამ და მემარჯვენეებმა თვით-მპყრობელობის გასამაგრებლად, ცხოვრების განვითარება თავისას გაიტანს, თავისუფლების შუქი აუცილებლად ამოანათებსო.

ავტორი ახასიათებს აგრეთვე რუსეთის საზოგადოებრივ ძალებს:

პირველ ყოვლისა აღსანიშნავნი არიან მაღალი წრეები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ მთავრობის ხელმძღვანელ წრეებზე. ამათ მოსდევენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი, რომელნიც რეაქციის ნამდვილი მუშაკნი არიან. ამათგან ზოგი სახელმწიფო საბჭოშია, ზოგი სენატში, ზოგსაც გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა უჭირავს. ყველა ესენი პირადის სამსახურით ასულდგმულებენ რეაქციას, მ-სამე ადგილი სამღვდელოების მაღალ წრეებს უჭირავთ. ესენი ფეოდალებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იღვწიან ძველ წესწყობილების გასამტკიცებლად. არიან კიდევ რეაქციის უბრალო ჯარის-კაცნი,—ეს ის ხალხია, რომელიც ორი შაურისთვის რაზედაც გინდა დაიფიცებს, თუნდ სახელმწიფო იდეალზე, ე. ი. ყველას აწიოკებს და აიკლებს, ვიზედაც კი მისი გამბედნიერებელნი მიუთითებენ.

ავტორი ეკითხება თავის თავს, განა შეუძლიან ასეთ ზნეობრივ და მატერიალურ ავლადიდების მქონე ხალხს შეაფერხოს საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ისტორიულ აუცილებლობას შეადგენს და რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღოო. ავტორი ამბობს, არაო. რეაქციონერებს არ მოეპოვებათ ნიადაგი, რომელზედაც შეეძლოთ ფეხის გამაგრებაო.

პროვინციალურ მოხელეთა უმრავლესობა ლიბერალთა ბანაკს ეკუთვნის. მოხელეობა ქონებრივად შევიწროებულია, გონებრივად დაბეჩავებული და სრულიადაც არ არის დაინტერესებული ძველ წესწყობილების განმტკიცებაში. რაღაც საბედისწერო აუცილებლობით ეს მოხელენი დემოკრატიულ სულის კვეთებით არიან გამსჭვალულნი და ამის წინააღმდეგ უსასტიკესი ზომებიც კი უძლურია. სოფლის სამღვდელოებაც კარგის გულით არ არის მთავრობაზე. ხალხში სცხოვრობს და ხალხის ინტერესებით არის გაჟღენთილი. გლეხობაშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალა გულის სიღრმიდან ამოძახილი „მიწა, რაც შეიძლება მეტი მიწა“. იმის გულში ბრწყინვალე შარავანდედით არის მოცული პირველი სათათბირო, რომელიც აკმაყოფილებდა გლეხობის ამ აუცილებელ საჭიროებას.

ასე ახასიათებს ავტორი რუსეთის საზოგადო ძალებს. იგი იმედიანად უყურებს რუსეთის ცხოვრების განახლებას:

ყველა, ვინც რუსეთში აზროვნობს და ჰქმნის პროგრესიულ კონსტიტუციონალურ განვითარებას, მოწინავე წრეების მხარეზე სდგას... ოქტომბრისტები, ეს მემარჯვენე რეაქციონერები, მთავრობასთან ერთსულ და ერთხორც არიან. ამ პარტიას წინად ისე უყურებდნენ, როგორც მანიფესტის განსახორციელებლად მოვლინებულს, მაგრამ ეხლა ყველაფერი გამოაშკარავდა და ბევრმა ზურგი იბრუნა და მარცხნივ გადიხარა. მთავრობა ეროვნულ შოვინიზმის ჰანგზე ჰგალობს, პატარა ერებს ავიწროებს და ამით დაჩაგრულ ერთა კონსერვატიულ ელემენტებსაც გულს უცრუებს,

ავტორი იმედიანად იწყებს და იმედიანადვე ათავებს.

არავითარ ღონისძიებით არ შეიძლება აუცილებელ განვითარების შეფერხება. რაკი ხალხის ფართო წრეები ამოძრავდნენ და ახალ იდეების გავლენით საზოგადო ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ, შეფერხება შეუძლებელია...

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 დეკემბერი.

საზღვარ-გარედ

ბერლინი. ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთი „დოიტშე-აზიატიშე-კორესპონდენტი“ სწერდა: ცნობა მოვიდა, რომ ინგლისი და გერმანია შეთანხმდნენ საზღვაო შეიარაღებას საზღვარი დაუდვათო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოსმალეთის მთავრობამ ეფრატსა და ტიგრზედ გემების მიმოსვლის შესახებ კონცესია ისევ ინგლისისთვის უნდა გადაეცა. ამის შესახებ „კელნიშე-ცაიტუნგი“ ოფიციალურად აცხადებს: მართალია გერმანიის მთავრობას დიდი სურვილი აქვს ინგლისთან მეგობრული განწყობილება განამტკიცოს, მაგრამ ჯერჯერობით ინგლისი და გერმანია ვერ შეთანხმებულან ფლოტის საკითხში. ტყუილია აგრეთვე ის, ვითომც გერმანიას აზრად ჰქონდეს გემების აშენებას რაიმე საზღვარი დაუდოს და თავის გეგმა არ შეასრულოს.

პარიზი. საგარეო პოლიტიკის შესახებ შეკითხვაზედ დეპუტატთა პალატას პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრმა პიშონმა. მან სთქვა: საფრანგეთის სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება გვაქვს. არც ერთ დროს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ისეთი მეგობრული განწყობილება არა ყოფილა, როგორც ეხლა. მოიგონეთ რუსეთის იმპერატორის და საფრანგეთის პრეზიდენტის შეხვედრა. ინგლის-რუსეთის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ბალკანეთის სახელმწიფოების მდგომარეობას, უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთი მადლობისი ღირსია, რომ ოსმალეთსა და ბოლგარიას შორის შუამდგომლობა იკისრა და საქმე მოაგვარა. კუნძულ კრიტეს საკითხზედ ვიტყვ, რომ დადგება დრო, როდესაც ექვსი დაინტერესებული სახელმწიფო შეუდგება კრიტეს მართვა-გამგეობის მოწესრიგობას. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ დაცულ იქმნეს მშვიდობიანობა და საფრანგეთის ინტერესები. ჩვენ ვცდილობთ და ვეცდებით კიდეც ეროვნულ თვით დასცვაზედ მაგრამ ამასთან არ დავივიწყებთ სამართლიანობას და ჰუმანიზმსო. დეპუტატთა პალატა დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის მიდამოებში დიდი ნამქერია. დაიღუპა 18 კაცი. ბოსტონის ახლო დაიღუპა გემი. ჰფიქრობენ, რომ გემის 12 მოსამსახურე დაიღუპა.

„კელნიშე-ცაიტუნგს“ შანხაიდან დეპეშით ატყობინებენ: პრინც-რეგენტის მოკვლის განზრახვის დროს დაიჭირა მანჯურიის ჯარის სარდალი ჩენტინი, რომელიც შეცდომით პრინც-რეგენტად მიიღეს. გამოირკვა, რომ ბოროტ-განზრახველი მანჯურიელი ჯარის კაცია.

ბუხარესტი. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა დეპუტატთა პალატის თავჯდომარე. დეპუტატთა პალატის თავჯდომარედ აირჩიეს ვიცე პრეზიდენტი მისსირა.

პარიზი. დააპატიმრეს ინჟენერი გილევიჩი, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინად პეტერბურგში, დეგტიაკოვის შესახვევში, უცნობი მოჰკლა. გილევიჩმა ამ ერთი თვის წინეთ პეტერბურგიდან ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტის პოდლუცკის სახელზედ მიიღო 8000 მანეთი. გილევიჩს სწორედ ეს სტუდენტი მოუკლავს პეტერბურგში და პარიზში მისი პასპორტით სცხოვრობდა. გილევიჩი რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტმა იცნო და თვალყურის დევნება დაუწყო. ამ დღეებში გილევიჩს პოდლუცკის სახელზედ 400 მანეთი მოუვიდა. როდესაც გილევიჩი ბანკში ფულის მისაღებად მივიდა, იგი რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტმა დააპატიმრა. გილევიჩს პარიკი ჰქონდა გაკეთებული.

სპარსეთი

თეირანი. სამსამუს-სალტანეს ადგილზე ისპაჰანის გუბერნატორად დაინიშნა ბახტიარების ხანი სერდარ-აშუდენი. მსუბუქად დასჭრეს მუშტეიდი მაჰმედ-რიზა-კუმი. ამბობენ, რომ მაჰმედ-რიზა-კუმი მიტომ დასჭრეს რომ უნდათ გავლენა იქონიონ სამღვდელოებაზედ, რომელიც უკანასკნელ დროს დიდ უკმაყოფილებას აცხადებს. ბოროტ-განზრახველი მიიმალა.

რუსეთი

პეტერბურგი. საექიმო საბჭოს დადგენილებით გაუქმდება გომეოპატიური აფთიაქები. გომეოპატიური წამლები ნორმალურ აფთიაქებში გაიყიდება.

მოსკოვი. პოლიციამ კუზმანის სახლში აღმოაჩინა ნებადაურთველი კრება. შეკრებილი იყო 10 კაცი. ყველანი დააპატიმრეს. დაპატიმრებულებში გადასახლებულებიც აღმოჩნდნენ. პოლიციამ თან წაიღო აუარებელი არალეგალური ლიტერატურა.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს საერო განათლების კომისიამ დაადგინა, იმ ბავშვების დედ-მამა, რომლებიც თავიანთ შვილებს სასწავლებელში არ გაგზავნიან, უნდა დაჯარიმდნენ. ჯარიმა 25 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

პეტერბურგი. სენატმა განმარტა, რომ მარტო სენატს შეუძლიან განიხილოს საჩივრები ადმინისტრაციის ამა თუ იმ დადგენილებებზედ, რომლებიც განსაკუთრებულ წესებით არიან გამოწვეულნი. შინაგან საქმეთა მინისტრს მხოლოდ კონტროლის გაწევის უფლება აქვს. ამასთან შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გააუქმოს განსაკუთრებულ წესების დროს ადმინისტრაციის მიერ გამოცემული განკარგულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ განკარგულებას შეუფერებლად იცნობსო.

ხოლერა

მოსკოვი. დღე-ღამეში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 1, ავად არის 71 კაცი.

კიევი. გუბერნიაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი.

ეკატერინოსლავი. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 1 კაცი.

პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლა

1

კარპოვი

დამცველ პოლიციის უფროსის პოლკოვნიკ კარპოვის მოკვლამ, რომელზედაც გუშინწინ ვწერდით, (№ 279), დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რუსეთსა და საზღვარ-გარედ. სატახტო ქალაქის გაზეთები მთელ სვეტებს უთმობენ ამ ამბავს. აი, ახალს რას გადმოგვცემენ გაზეთები.

პოლკოვნიკი კარპოვი ჯოჯოხეთის მანქანის მსხვერპლი გახდა. ჯოჯოხეთის მანქანა ისეთის სიძლიერის გამსკდარა, რომ ახლო-მახლო სახლების მცხოვრებნი სახლებიდან გამოვარდნილან. ზოგს მიწის ძვრა ჰგონებია. თვით იმ ოთახში, სადაც ჯოჯოხეთის მანქანა აფეთქდა, ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულა: ორი კედელი სულ ერთიან დანგრეულა, იატაკი, ჭერი და ფანჯრები სულ დალეწილა. ერთი კარები და ზოგიერთ ფანჯრის ჩარჩოები რამდენიმე საჟენის იქით იპოვეს. თვით კარპოვი კი, როგორც ვსწერდით, ისე დასახიჩრდა, რომ ველარ იცნეს და რომ იქვე მისი პორტსიგარი არ ენახათ, იქნებ სულაც ვერ გაეგოთ ვისი იყო გვამი. კარპოვის ერთი ფეხის ნაგლეჯები ეზოსა და მეორე ოთახებში იპოვეს.

საინტერესო ის არის, რომ კარპოვი უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში სულ ბორგავდა თურმე, ჩაფიქრებული დადიოდა, ოხვრავდა და ზოგიერთ მახლობელს შესჩიოდა, ძალიან ცუდად ვარ, რაღაც მომელისო. ვოსკრესენსკისთან წასვლისას, როგორც ეტყობა, კარპოვი რაღაცას მოელოდა.

კარპოვს ვოსკრესენსკი დონ-როსტოვშივე გაუცვნია და მგონი აქვე უსარგებლნია კარპოვს მისი ცნობებით. ვოსკრესენსკი ძალიან იცნობდა თურმე ფინლიანდიის რევოლიუციონურ მოძრაობას. კარპოვს უსარგებლნია ამითი და, ვოსკრესენსკის ჩვენების თანახმად, უმაღლეს მთავრობისთვის მოხსენება წარუდგენია ფინლიანდიის საქმეებზე. უკანასკნელ დროს კარპოვი ფინლიანდიიდან ვიღაცეებსაც ელოდა, „ჩემი რევოლიუციონერები“ ჩამოვლენო, იძახდა თურმე მათზე კარპოვი.

კარპოვმა უმაღლეს მთავრობის ყურადღება ჯერ კიდევ დონის-როსტოვში ყოფნის დროს დაიმსახურა. კარპოვი დონის-როსტოვის დამცველ პოლიციის უფროსად 1902 წელს დანიშნეს. ამ წლიდან დონის-როსტოვის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა. საპყრობილეები სულ პოლიტიკურ დამნაშავეებით აივსო. მალე ისეთი სახელი გაითქვა კარპოვმა, რომ მისი შიშით ყველა ძრწოდა. მართლაც და საშიში იყო კარპოვის ხელში ჩავარდნა; ყველას ეშინოდა, კარპოვმა არ ჩამოგვართვას ჩვენებაო. კარპოვი ჩვენების ჩამორთმევის დროს „საქმეზე“ ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, დაპატიმრებულთან ის „პრინციპიალურ“ ბაას გააბამდა, ჩაიზედ ჰპატიჟობდა და სხვა. დონის-როსტოვში ეხლაც კი ამბობენ, კარპოვის ჩაის შემდეგ ერთმა მუშამ მთელი ორგანიზაცია გასცა და შემდეგ თავი მოიკლაო. მეორე მუშამ ნავთი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. საზოგადოდ კარპოვი როგორღაც ახერხებდა მუშების „მოჯადოვებას“ „რუს. სლოვო“ სწერს: ამბობენ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დონის კომიტეტის ზოგიერთი წევრები მისი აგენტები იყვნენო. ამას გარდა კარპოვი ძალიან „ცნობის მოყვარე“ იყო და ხსნიდა არა მარტო უბრალო მომაკვდავების წერილებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც უყურადღებოდ არა სტოვებდა თურმე.

საზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, კარპოვმა თვითონ მოაწყო „ყუმბარების ქარხანა“, „ჯოჯოხეთის მანქანა“, რასაც, რა თქმა უნდა, თვითონვე აღმოაჩენდა და მთავრობის ყურადღებას დაიმსახურებდა. ლონდონის და ბერლინის გაზეთები სწერენ: რუსეთის პოლიცია ხშირად სარგებლობს პროვოკაციით და ამიტომ გასაკვირველი არ არის კარპოვის მოკვლაო,

2

ვოსკრესენსკი.

კარპოვის მკვლელის ვოსკრესენსკის შესახებ ზოგიერთი ცნობა გვქონდა მოყვანილი. ეხლა „რუსკ. სლოვოს“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: ამ ერთი წლის წინად პარიზში ბურცევთან რუსეთიდან ჩავიდა ესე 25—26 წლის კაცი და დახმარება სთხოვა—პროვოკატორობას მაბრალებენ, მიშველეთ რამე, თორემ თავს მოვიკლავო „რევოლიუციის შერლოკ ხოლმსმა“ (ესე იგი ბურცევმა) დახმარება აღუთქვა და გამოძიება დანიშნა. გამოძიებამ დაამტკიცა მიხეილ ვოსკრესენსკის პროვოკატორობა. ამის შემდეგ ვოსკრესენსკი სადღაც გაჰქრა.

მიხეილ ვოსკრესენსკი 1903 წლიდან მუშაობდა სოციალისტ-რევოლიუციონერებთან ეკატერინოსლავის გუბერნიაში. 1907 წელს იგი, იარაღის გადატანის დროს, პოლიციამ დააპატიმრა. ვოსკრესენსკი „იაფად“ გადარჩა—იგი ორი კვირის შემდეგ გამოუშვეს. შესაძლებელია, სწორედ ამ დროს „მოინათლა“ ვოსკრესენსკი. „მონათვლის“ შემდეგ ვოსკრესენსკი სხვა და სხვა პარტიას საზღვარ-გარეთიდან იარაღს „უზიდავდა“ (გასაკვირველია, რომ თვით „დიდი აზეფიც“ ასე იქცეოდა). ვოსკრესენსკიმ, სხვათა შორის, მოაწყო ერთი დიდი ექსპროპრიაცია. ვოსკრესენსკის გარდა, ექსპროპრიაციაში მონაწილეობის მიმღებნი კატორგაში გაგზავნეს...

— როდესაც აზეფის ვინაობა გამოაქვეყნეს, ვოსკრესენსკი ძალიან გაბრაზებული იყო, ბაკაი უნდა მოვკლათო. მაგრამ მალე გამოირკვა თვით მისი ოინები და იგი იძულებული გახდა, მიმალულიყო. რამდენიმე ხნის განმავლობაში ვოსკრესენსკიზე არაფერი ისმოდა. სრულიად შემთხვევით ბურცევი „ისკრის„ ნომერს შინჯავდა და ერთ სურათში — „პოლტავის დღესასწაულები“—შეამჩნია ვოსკრესენსკის სახე, იგი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებთან [illegible] ყოფილა [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს ეხსომება სადგურ ბუზდანაზე საფოსტო მატარებლის გაძარცვა, საიდანაც 400,000 მანეთი გაიტაცეს. ბურცევის სიტყვით, ეს ექსპროპრიაცია მიხეილ ვოსკრესენსკის მოუწყვია. ამ ექსპროპრიაციის მომხდენნი ზაკრჟევსკი, ფიალკოვსკი, სვირსკი, კოსაკოვიჩი და გრაბოვსკი სამხედრო სამართალში მისცეს. სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა პირველ სამს სიკვდილით დასჯა, დანარჩენ ორს-კი სხვა-და-სხვა ვადით კატორგა. ვოსკრესენსკი, რა თქმა უნდა, გადარჩა.

სხვა წყაროებით-კი კარპოვის მკვლელი ერთ დროს გამოჩენილი რევოლიუციონერი ყოფილა. ორი წლის წინად მისთვის სიკვდილი გადაუწყვეტიათ. რომ თავი დაეხსნა განგებ აგენტობა უკისრნია და თავისი ჯავრი კარპოვზე უყრია. ამბობენ, ბურცევი ამ დღეებში ბევრ რამეს გამოაქვეყნებს ამის შესახებაო.

რესტავრაცია თუ ლიკვიდაცია

საქართველოს საეკლესიო მართვა-გამგეობისა?

(დასასრული *)

სასულიერო მთავრობის ყოველნაირი გადაწყვეტილება დამყარებული უნდა იყოს საეკლესიო კანონმდებლობასა და მართლმადიდებელ ეკლესიის პრაქტიკაზე, ამიტომ ცოტა ხანს შევჩერდეთ ამ საკითხზე. რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ეკლესიის ავტოკეფალიის არსებითი მხარე, უნდა სახეში ვიქონიოთ საეკლესიო კანონმდებლობის და საეკლესიო პრაქტიკის ზოგიერთი საფუძველი. ამ საფუძვლებზე უნდა იყოს დამყარებული მართმადიდებელ ეკლესიის მართვა-გამგეობა.

ამა თუ იმ ხალხის საეკლესიო საქმეების უმთავრესი მართველი მისი ეპისკოპოსების კრებაა. ეპისკოპოსებს მეთაურობს ერთ-ერთი ეპისკოპოსი. მთავარ ეპისკოპოსმა არაფერი არ უნდა გააკეთოს სხვა ეპისკოპოსების დაუკითხავად. ერთი საეკლესიო ოლქის მმართველობა არ უნდა ჩაერიოს მეორე საეკლესიო ოლქის მართველობაში. უნდა ვიხელმძღვანელოთ კიდევ შემდეგის დებულებებით: ჩვიდმეტამდე დიდი (ტერიტორიალურად), პატარა, ძველი და ახალი ავტოკეფალური ეკლესია, შეიძლება ვსთქვათ, რომ საეკლესიო ფედერაციას წარმოადგენენ. თუ თვითეულ ავტოკეფალურ ეკლესიას სურს მსოფლიო ეკლესიასთან ერთობა იქონიოს, მან უნდა აასრულოს ადგილობრივ და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ გამოცემული საეკლესიო კანონები და ისეთი რამ არ უნდა დაადგინოს, რაც ამ საეკლესიო კანონებს ეწინააღმდეგება. სარწმუნოებრივ საკითხების გადაწყვეტას საფუძვლად უნდა დაედოს თვითეულ ეკლესიის სამღვდელოების და სამწყსოს სურვილი და ნება. უძველეს მართლმადიდებლობას არ ულალატეს საბერძნეთის და საქართველოს ეკლესიებმა. დანარჩენი ძველი ეკლესიები. სომხებისა, სირიელებისა, კოპტებისა, აბისინელებისა და რომისა თან და თან გამოშორდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. რუსეთისა და რუმინიის მართმადიდებელი ეკლესიები შემდეგში დაარსდნენ. ეკლესია გვასწავლის, რომ იმ მართმადიდებელ ეკლესიებმა, რომელნიც გვიან დაარსდნენ, თავიანთი მართველობა ისე უნდა მოაწყონ, როგორც უძველესმა მართმადიდებელმა ეკლესიებმა; ყველაფერში ამ უკანასკნელებს უნდა მიჰბაძონ. 1721 წლიდან რუსეთის ეკლესიის მართველობა დამყარებულია პეტრე დიდის სასულიერო რეგლამენტზე. ეს რეგლამენტი აღმოსავლეთის 4 პატრიარქიდან ორ-

---

*) იხ. „დროება“ N 280.

ეა პატრიარქმა დაამტკიცა. რეგლამენტი სხვა მართმადიდებელ ეკლესიებზე არ უნდა გავრცელებულიყო.

1811 წელს, საქართველოს საკათოლიკოზოს გაუქმების და კათოლიკოზის მაგიერ ეგზარხოსის დანიშვნის დროს, რუსეთის სასულიერო და საერო მთავრობა არ დაეკითხა აღმოსავლეთის პატრიარქებს და ქართველებს, თუ რამდენად საჭირველი და შესაწყნარებელი იყო ეს ახლა, როდესაც, უმაღლესის ბრძანებით, რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებული უნდა იყოს საეკლესიო კანონებზე და, სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირის პროექტით, „უწმიდესი და უმართებულესი სინოდი“ უნდა გადაკეთდეს „წმიდა სინოდად“ და უნდა დაარსდეს ორი უმაღლესი საეკლესიო ინსტანცია—პატრიარქი და საეკლესიო კრება, თავის თავად ცხადია რომ საქართველოს ეკლესია არ უნდა დარჩეს დამოკიდებულ მდგომარეობაში და მას უნდა დაუბრუნდეს ძველი საეკლესიო მართველობა, დამყარებული საეკლესიო კანონებზე. სამართლიანობისა და კანონიერებისადმი პატივისცემა რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენლებს უკარნახებს რომ ისარგებლონ უმაღლესად ნაბოძებ უფლებით და საქართველოს სამღვდელოებასთან ერთად მშვიდობიანად და თანხმობით მოაწყონ მართმადიდებელ ეკლესიის მართვა-გამგეობა რუსეთში. რა თქმა უნდა, ეს საეკლესიო მართვა-გამგეობა საეკლესიო კანონებზე უნდა დამყარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელად თუ აღმოსავლეთის პატრიარქები მხარს დაუჭერენ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევას და კანონიერად აღიარებენ მის გადაწყვეტილებას (მაგალითად, პატრიარქობის აღდგენის შესახებ). საზოგადოდ საეკლესიო კრებებს განხეთქილებისა და უთანხმოების ჩამოგდებისთვის კი არ იწვევდნენ, არამედ მშვიდობიანობის და თანხმობის დასამყარებლად.

ქართველები ავტოკეფალიის დაბრუნების საქმეში თეორეთიულ მსჯელობაზე კი არ ემყარებიან, არამედ შეურყეველ ფაქტზე, რომ ეგზარხების დროს საქართველოში სარწმუნოება დაეცა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ეგზარხოსებმა არ იციან თავიანთ სამწყსოს ენა, ზნე-ჩვეულება, მათდამი რწმუნებულ ეკლესიის დადგენილებანი, ისტორია და ქართველ ხალხის ყოფა-ცხოვრება. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ეგზარხოსები დირექტივებს შორეულ ჩრდილოეთიდან იღებენ, რომელიც ძალიან ნაკლებად იცნობს საქართველოს ეკლესიის ამა თუ იმ საჭიროებას. უფრო ნათელი გახდება ეს ფაქტი. რაღა გასაკვირველია, რომ ამისთანა პირობებში ეგსარხოსებმა ვერ აასრულეს ეკლესიის დანიშნულების მიზნები. უკანასკნელ დროის საქართველოს ეგსარხოსები არა თუ არ უარჰყოფენ საქართველოში სარწმუნოების დაცემას, პირიქით, ეჭვიც კი ებადებათ, ვაი თუ კათოლიკოსმაც ვერ შესძლოს „აღდგენა და გამოცოცხლება“ სარწმუნოებისა, ისე დაეცა ეს სარწმუნოება. მაგრამ მართლაც და განა შესაძლებელია სერიოზულად იმის მტკიცება, რომ საქართველოში სარწმუნოების აღსადგენად საჭიროა, რომ ერთ „სასინოდო კანტორის“ ნაცვლად ექვსი საეპისკოპოსო კონსისტორია დაარსდეს და ყოველ უმნიშვნელო საგანზე სინოდთან შეკითხვა იქნეს საჭირო.

განსვენებული ეგზარხოსი ნიკონი სულ სხვა აზრისა იყო. იგი უარს არა ჰყოფდა, რომ საქართველოში სარწმუნოება დაეცა, მაგრამ ჩემთვის უთქვამს: „ქართველის გულში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა სარწმუნოების ნაპერწკალიდა მას შეუძლიან კიდევ აენთოს სხვაგვარ პირობებში“. განსვენებული საქართველოს ავტოკეფალიის მომხრე იყო და ეს კარგად იციან ოფიციალურ წრეებში.

ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ საქართველოს ავტოკეფალური მართვა-გამგეობა მიეცეს, რაიც მან კარგა ხანია საეკლესიო კანონების ძალით მიიღო და კიდეც სარგებლობდა რამდენსამე საუკუნის განმავლობაში და რაიც de lure აქნობამდისაც არსებობს, არამედ ამ უფლების ფაქტიურად გამოყენებაზე; მაგალითად კათალიკოსის არჩევა, რომელიც ხელმწიფე-იმპერატორმა უნდა დაამტკიცოს, რადგან ხელმწიფე-იმპერატორი რეგლამენტით „სასულიერო კოლეგიის უმაღლესი მოსამართლეა“. საჭიროა მხოლოდ შემუშავდეს modus vivendi, ე. ი. წესები თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს რუსეთის და საქართველოს ეკლესიებს შორის, ისე, როგორც, აღმოსავლეთის პატრიარქთა შორის არის. ეს წესები შემდეგში შეიძლება დასამტკიცებლად წარედგინოს სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრებას.

რა გააკეთა წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ

მოხსენება 1909 წლის 13 დეკემბრის საზოგადო კრებას გამგეობის თავმჯდომარისაგან *)

გამგეობას არ დაუტოვებია უყურადღებოდ მასწავლებელთა მომზადებაც. დღეს მასწავლებლის ადგილის განთავისუფლების დროს, გამგეობის სასკოლო სექციას ძლიერ უჭირს კანდიდატებიდან არჩევა კარგად მომზადებულ მასწავლებლისა, რადგან სოფლის სკოლაში სამსახური ძნელია და 25—30 მან. ჯამაგირი თვეში, პენსიის უიმედობა, არ უზრუნველჰყოფს მშრომელს და არ იზიდავს ჩვენს სამსახურში. ამ მიზეზისა გამო საზოგადოდ ჩვენი მასწავლებლები ვერ არიან თავიანთ ადგილზე.

გამგეობა ჩაუკვირდა ამ სენს და აუცილებელ საჭიროდ დაინახა ყველაზე უწინარეს მასწავლებლის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება. ამის შესახებ მოხსენებას წარმოგიდგენთ მომავალ წლის კრებაზე, ხოლო აქ მოგახსენებთ ჩვენი პროექტის უმთავრეს მუხლებს: 1: მასწავლებლის ნორმალური ჯამაგირი უნდა იყოს 30 მან. თვეში. 2. ამ ჯამაგირს უნდა მიემატოს ყოველ წელიწადს 5 მან. თვეში, სანამ ჯამაგირი არ ავა 50 მან. თვეში. 3. მასწავლებელი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოწყობილი ბინით, გათბობით და განათებით.

მასწავლებელთა შეკავშირებასა და სკოლებისთვის ახალ გეგმის შესამუშავებლად გამგეობა ფიქრობდა მასწავლებელთა კრების გამართვას წელს ზაფხულში. ამისათვის დავამზადეთ ყველაფერი და მივმართეთ ნებართვისთვის მთავრობას, მაგრამ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა ჩვენი გეგმა და უპირველესად არ დაგვეთანხმა, რომ მასწავლებელთა მეცადინეობა კრებაზე ყოფილიყო ქართულად. ამის გამო არ შესდგა კრება.

მაგრამ გამგეობას მაინც არ უარუყვია მასწავლებელთა კრების გამართვა. მას განზრახვა აქვს, რომ ასეთი კრებები აუცილებლად იმართებოდეს ყოველ 2—3 წელიწადში და სპეციალური მოხსენება ამ საკითხზე იმიტომ არ წარმოგიდგინეთ, რომ ჯერ ყველაფერი გამორკვეული და დასრულებული არა გვაქვს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამგეობა ჰფიქრობს სკოლებს მომავალში პროფესიონალური ხასიათი მისცეს. ამ მიზნით გამგეობამ გამოსთხოვა შინა-მრეწველობის ადგილობრივ კომიტეტს ორი ვაკანსია ვიშნევოლოცკის და სოსნოვიცის სკოლებში სათეიქრო ხელობის მასწავლებელთა მოსამზადებლად. გამგეობა თავის მხრითაც დახმარებას აძლევს ამ სკოლებში მოსწავლეებს ძმ. ზუბალაშვილების თანხიდან გადარჩენილ ფულით.

რაც შეეხება სკოლების **რევიზიას**, გამგეობამ უნდა აღიაროს, რომ ეს საქმე ვერაა სასურველად მოწყობილი და სამართლიანად იწვევს საზოგადოების წევრების საყვედურს. გამგეობის სხდომებზე კატეგორიულად გამოითქვა აზრი, რომ დღევანდელი წესი არასდროს არ მოიტანს სასურველ ნაყოფს, სანამ არ დაწესდება საზოგადოების სკოლების განსაკუთრებულ ინსპექტორის თანამდებობა. ასეთ გადაწყვეტილებას გამგეობა ამყარებს შემდეგ მოსაზრებაზე: ამ ჟამად სკოლების შესამოწმებლად წელიწადში ერთხელ იგზავნება გამგეობის ერთი წევრი, რომელსაც ეძლევა გზის ხარჯი. ეს ხარჯი შეადგენდა 1907 წ. 90 მან. და 1908 წ. 141 მ. ამგვარ კონტროლს მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ და მისი განხორციელება მეტად გაძნელებულია. ყველაზე უწინარესი ის აბრკოლებს საქმეს, რომ გამგეობის წევრებს ყველას თავისი საქმე აქვს და ტფილისიდან გასვლა შეუძლიანთ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, უქმეების დროს, სკოლების ინსპექცია კი მოითხოვს ბევრს დროს და იგი უნდა შეუფარდდეს მეცადინეობის დროს სკოლებში. რაციონალურ ინსპექციისათვის საჭიროა სპეციალური მომზადება და სისტემატიური მუშაობა, რომელიც მოითხოვს ფულსაც და დროსაც. ასეთ მუშაობას ვერ დავაკისრებთ იმ პირებს, რომელნიც ემსახურებიან საზოგადოებას უფასოდ და რომელთაც არ შეუძლიანთ მთელი თავიანთი შრომა საზოგადოებას შესწირონ. ამიტომ ინსპექტორის მოვალეობა შეიძლება მხოლოდ თავისუფალს პირს დაეკისროს და მას უნდა მიეცეს შრომის ფასიც, რომლის რაოდენობა უნდა იყოს არა ნაკლებ 500 მანეთისა.

დაწვრილებითი შემუშავება ამ საკითხისა მინდობილი აქვს სასკოლო სექციის წევრს ა. მდივანს და მოგახსენებთ, როცა საქმეების ვითარების მიხედვით გამგეობა შესაძლებლად დაინახავს თავის განზრახვის განხორციელებას.

ჩამოთვლილ საგნების გარდა გამგეობა მუშაობდა წიგნის მაღაზიისა, ბიბლიოთეკის და კანცელარიის რევიზიისათვის და აგრეთვე გამოირკვა, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის ახალი ბინის აგება. ამისთვის ცალკე მოხსენებებიც წარმოგიდგინეთ.

დასასრულ გამგეობა წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად ქალთა წრის შუამდგომლობას, რომ ის მიღებულ იქმნას საზოგადოებაში, როგორც განსაკუთრებული კომისია, თანახმად წესდების მე-15 მუხლისა.

ჩემს მოკლე მოხსენებაში მე მოვიხსენიე მარტო უმთავრესი მომწიფებული საკითხები, რომლების ზოგი წილი უკვე გადასწყვიტა გამგეობამ უკანასკნელ წლის განმავლობაში. თუ ამას მივუმატებთ იმ საკითხებს, რომლებიც მხოლოდ აღიძრა გამგეობაში და ჯერ დაუმთავრებელია, მაშინ თქვენ საკმაო მასალა გექნებათ ხელში ახლანდელ გამგეობის მოქმედების დასაფასებლად. ეს დაფასება არ უნდა შესცვალოს გამგეობის აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებამ წიგნის მაღაზიაში. ის გაბედულობა, რომლითაც გამგეობა შეუდგა რევიზიას, და ამგვარად აღმოაჩინა დიდი დანაკლისი და დაბრკოლება, რომელიც წინ გვქონდა გადაღობილი, მე მიმაჩნია, მაპატიეთ გულახდილობისათვის, ახლანდელ გამგეობის ღირსებად, რომელიც დაიმსახურა თავის ამომრჩევლების წინაშე.

ამ მოხსენების საგანი იყო—გაცნობა საზოგადო კრებისათვის გამგეობის პროგრამა და მისი მუშაობა ერთი წლის განმავლობაში. როგორც ჰხედავთ, ჩვენი დევიზია „საზოგადოების სარგებლობა“, ხოლო სატაქტიკო გზა „გულახდილობა, გამოაშკარავება და ფაქტიური რევიზია“. უკვე წარმოგიდგინეთ ჩვენი გულ-ახდილობის საბუთები. ეს იარაღი, რომელიც უნდა დაგვცეს ახალმა ოპოზიციამ,—ჩვენი საკუთარი იარაღია ჩვენი საკუთარი ხელით გაჭედილი. გამგეობას თავის მოწინააღმდეგეებზე უფრო ემარჯვება ამ იარაღის მოხმარება, ამიტომ ჩემი რჩევა: ნუ აჩქარდებით მსჯავრის დადებაში, სანამ არ გაგვათავებინებთ დაწყებულს მუშაობას, და მხოლოდ მაშინ, როცა გამგეობა წარმოგიდგენთ თავის მუშაობის ნაყოფს დამთავრებულად, გექნებათ უფლება გამოსთქვათ სამართლიანი მსჯავრი.

---

*) იხ. „დროება“ N 280.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **შუამავალნი.** ყველამ იცის, რომ ჩვენში ბევრნი სიამოვნებით ასაღებენ უცხოელებზე თავიანთ მამულს. ეხლა ზოგიერთნი გარდა იმისა, რომ თავიანთ მამულებს ჰყიდიან უცხოელებზე, შუამდგომლობასაც სწევენ ამ გვარ საქმეებში, დაუძღოვებიან მყიდველებს ბანკებსა და ნოტარიუსებთან და არიგებენ საქმეებს. გადმოგვცეს, რომ ნიკო აბაშიძეს, ცნობილ ეპისკოპოსის დიმიტრის ძმას, თავისი მამულიც ხომ გაუყიდნია, ეხლა სხვების მამულებსაც ასაღებს თურმე. ალბად სარგებლობა დიდი აქვს...

✦ **ადგილის მითვისება.** კარგა ხანია ხმა დადის, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნის ტ. ენფიანჯიანცის მეუღლემ ქალაქის ადგილი მიითვისაო. ამ დღეებში ქალაქის გამგეობის განკარგულებით, შეუდგნენ უკვე გავრცელებულ ხმის შემოწმებას. გამგეობა სწერს ქალაქის მიწის მზომელს: ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქის გამგეობამ 21,000 მანეთად შეიძინა ავლაბარში სტეფან არაქელას ძე თუმანოვისაგან 3400 ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი. ქალაქმა ამ ფულის გარდა თუმანოვს მიუზომა 400 ოთხ.-კ. საჟენი ახმეტის ქუჩასთან. შემდეგში თუმანოვმა ქალაქისაგან მიღებული ადგილი (400 საჟენი) დაუთმო ჩითახოვის მემკვიდრეს ანნა ჩითახოვის ასულს ენფიანჯიანცისას, რომელმაც 400 საჟენ მიწასთან ერთად შემოღობა და მიისაკუთრა ქალაქის ადგილიც. გამგეობა ამიტომ ავალებს მიწის მზომელს, ადგილობრივ შეამოწმოს მითვისებულ ადგილის რაოდენობა და გამოარკვიოს, მართლა მიითვისა თუ არა ქალაქის ადგილი ხმოსნის ენფიანჯიანცის მეუღლემ.

✦ **გაძლიერებული წესები.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოს საგრადონაჩალნიკოში გაძლიერებული წესები 1910 წლის 6 ივლისამდე კიდევ დაუტოვებიათ.

✦ **თავის მოკვლა.** „კასპი“-ს სიტყვით, კვირას, 13 დეკემბერს, ბაქოში თავის კაბინეთში რევოლვერით თავი დაუჭრია ბაქოს მაზრის უფროსს, პოლპოლკოვნიკ ბაკანოვსკის. ტყვიას მარჯვენა თვალში გაუვლია. ბაკანოვსკის ორივე თვალი გადმოვარდნია. ექიმების აზრით, ბაკანოვსკის მორჩენა საეჭვოა. ბაკანოვსკის შემდეგი წერილი დაუტოვებია: „ვკვდები, რადგან სალი აზროვნება დავკარგე. ჩემს ცოლშვილს სიღარიბეში უშვებ. ვემუდარები საზოგადოებას და მთავრობას, უპატრონონ მათ“.

✦ **ქალაქის თავი საექიმოდ მიდის.** ტფ. ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ამ დღეებში მიდის პეტერბურგს პროფესორ ფეოდოროვთან საექიმოდ. თავად-აზნაურობის მიერ გადადებულ ფულიდან 500 მან. ავადმყოფმა უკვე მიიღო.

✦ **ახალი ნავთის მწარმოებელი საზოგადოება.** არტ. ენფიანჯიანცისა, ნიკ. ვოს. აბრამიანცისა და სხვათა ინიციატორობით შესდგა ახალი საზოგადოება: „ამიერ კავკასიის ნავთის მწარმოებელი საზოგადოება“. საზოგადოებამ გამოსცა 2000 პაი, თითო პაი 200 მანეთიანი. საზოგადოებამ უკვე შეადგინა საწარმოო თანხა (400,000 მან) და მალე შეუდგება მოქმედებას. ამას წინად მოხდა პაის პატრონთა კრება. გამგეობის წევრებად აირჩიეს მესროფ არზუმანიანცი, არტაშეს ენფიანჯიანცი, იოსებ ბახგელდიანცი და ნიკოლოზ აბრამიანცი. გამგეობა ტფილისში იქნება.

✦ **კატორგიდან გამოქცეულის დაპატიმრება.** 15 დეკემბერს ვოდოსტოჩნის ქუჩაზე მარიამ კარბელაშვილის ბინაზე დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელმაც თავისი გვარი მიხეილ პეტრეს ძე კუზნეცოვად გამოაცხადა. კუზნეცოვი გამოდგა პეტრე სოლომონის ძე კარბელაშვილი (შვილი მარიამ კარბელაშვილისა). დაპატიმრებული გამოტყდა, რომ იგი 1879 წელს დააპატიმრეს, როგორც ყაჩაღების ბრბოს მეთაური. იგი სამხედრო სასამართლოში ყოფილა მიცემული და კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. 1889 წელს კატორგიდან გამოქცეულა. კურსკის გუბერნიაში უვლია, თავი კუზნეცოვად გამოუცხადებია და რადგან ვერ გაუგიათ ნამდვილი მისი ვინაობა, როგორც „ბრადიაგისთვის“, ციმბირში გადასახლება გადაუწყვეტიათ. ციმბირიდანაც გამოქცეულა კარბელაშვილი და 1908 წლიდან ტფილისში სცხოვრობდა თურმე დედასთან. დააპატიმრეს აგრეთვე 80 წლის მისი დედა მარიამ კარბელაშვილისა.

✦ **საზიზღარი მკვლელობა.** „ფონში დაბეჭდილია: ბაღდათიდან გვატყობინებენ, რომ მიმდინარე თვის 5 რიცხვს მოუკლავთ ყოფილი მასწავლებელი ქორიძე. ქორიძე თურმე იმ უბედურ დღეს ჩასულა ბაღდათში და მყნილვაზის საყიდლად. სტრაჟნიკებს იგი დაუჭერიათ და ბოქაულთან წარუდგენიათ, როგორც არა საიმედო პირი. გაჩხრეკის დროს ქორიძეს აღმოსჩენია ჯიბეში 280 მანეთი. ქორიძე ადგილობრივ ციხეში წაუყვანიათ. ციხეში მიყვანამდი ქორიძე მოუკლავთ. ამბობენ, გაქცევა დააპირაო.

✦ **არა ჩვეულებრივი მოვლენა.** ახალ ბაიაზეთის მაზრაში თათრების ერთ სოფელში თათრის ქალს ხუთი შვილი უშობნია—სულ ქალები. ხუთივენი ცოცხლები და ჯანმრთელები არიან თურმე.

✦ **ყაზახის დარჩობა.** ბათუმიდან გვატყობინებენ: 14 დეკემბერს ართვინიდან ბათუმში წავიდნენ ვადა-გათავებული ყაზახები. მდინარე ჭოროხზე ყაზახებს ნავი გადაუბრუნდათ. ერთი ყაზახი დაიხრჩო, სხვები გადარჩნენო.

✦ **მკვლელობა.** როგორც გაზ. „მომავალს“ გურიიდან ატყობინებენ, იქ სოფ. ასკანაში მოუკლავთ ცნობილი დათიკო შავარდნაძე. შავარდნაძე პოლიციას ემალებოდა. მას რამდენიმე დარაჯის მკვლელობას აბრალებდნენ.

✦ **ყალბი თაფლი.** ტფ. მეფუტკრეთა საზოგადოებამ შუამდგომლობა აღსძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, ღონისძიებანი იქნეს მიღებული, რომ ქალაქში საახალწლოდ ყალბი თაფლი არ შემოიტანონ.

✦ **კოოპერატიული ამხანაგობა.** როგორც ჭიათურიდან გვატყობინებენ, იქ მალე დაიწყებს მოქმედებას ახალი კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც უკვე ადგენს ძირითად თანხას. ამხანაგობა შეუდგება შავის ქვის წარმოებას.

✦ ხვალ 18 დეკემბრისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. სასკოლო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს, სხვათა შორის, თხოვნები სტიპენდიების დანიშვნის შესახებ. თავისუფალი სტიპენდიებია ქალაქისა ქალთა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელში.

✦ გუშინ 16 დეკემბერს, სირაჯხანის ქუჩაზე ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტმა მიხეილ ეგისკალაშვილის დუქანში აღმოაჩინა 300 ფუთი ყველი, სრულიად უვარგისი, აგენტმა ოქმი შეადგინა, ყველის საწყობი დაბეჭდა და უბნის ექიმი მოიწვია ყველის შესამოწმებლად.

✦ დღეს, 17 დეკემბრისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა ქალაქის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ბალანსის გასაკეთებლად.

✦ ტფილისში 15 დეკემბერს შემდეგი ამბები მოხდა: გოლოვინის პროსპექტზე დააპატიმრეს გორის მცხოვრები ლავრენტი სააკაძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. დააპატიმრეს ივანე მაყაშვილი და შანშიევი, რომელთაც დაჰბრალდათ სატენიკა მალხასიანცის სახლიდან 60 მანეთის ნივთების მოპარვა. ლოტკის გორის მცხოვრებს მარიამ ასლამაზოვისას შინ დაბრუნებისას საღამოთი შეუნიშნავს ქურდი, რომელიც სახლიდან ნივთების მოპარვას ლამობდა ასლამაზოვისას უტაცნია ხელი ქურდისთვის, მაგრამ ქურდს დაუჭრია დანით და გაქცეულა. მეორე გილდის ვაჭრის ჰაირაპეტ ტერ-სააკოვისთვის ქურდს 2825 მანეთის ნივთები მოუპარავს. ეჭვი მიიტანეს მოსამსახურე ქალზე პელაგია ბერუშკინზე, რომელიც დაიმალა.

საზოგადოებრივი კლუბი

გასულ [illegible] კლუბში ვიყავით და [illegible] დრო გავატარე. [illegible] ჩვეულებრივი ხასიათი არა აქვს: არ არის იქ ბანქოს თამაში, მაგარი სასმელები და ფუჭი დროს ტარება. კითხულობენ რეფერატებს, სალიტერატურო ნაწერებს და მსჯელობენ წაკითხულისა და ცხოვრების საყურადღებო საკითხების შესახებ.

ჩვენ დროში, როცა ყველანი პირ-მოღუშულნი თავ-თავიანთ კუთხეში ვზივართ, ამგვარ ადამიანთა შემაერთებელი საკრებულო დიდად სასარგებლო დაწესებულებაა, მით უფრო, რომ იქ თავს იყრიან ტფილისში მცხოვრებ სხვა-და-სხვა ეროვნების წარმომადგენელნი, რომელთა შორის ჩვეულებრივ უგემურად ამართული ჩინური კედელი სდგას ჩვენ ცხოვრებაში.

კლუბში მცირე იყო ქართველთა რიცხვი, რაიცა ჩვენ უძრაობას და გონებას სიზანტეს უნდა მიეწეროს. აზრის გაზიარება-გაცხოველება ქართველებს მეტ ბარგად მიგვაჩნია. ჩვენ ნაფიქრს ჩვენვე ვღეჭავთ მარტოობაში, ოთახში გამოწყვდეულნი. არ გვაინტერესებს თანამგრძნობთა ძებნა, მათთან ერთად ფიქრი და გრძნობა, სულიერ ძალთა გაერთიანება, აზრთა და გრძნობათა გაზიარება—სევდა ვარამის განმაქარვებელი საშუალება და ამავე დროს საკუთარ აზრთა და გრძნობათა გამტკიცება. გარდა ამისა. როცა მეზობელ ხალხის წარმომადგენელს ჰხედავ, რომელიც შენსავით ფიქრობს, ჰგრძნობს და დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებს იკვლევს, ნათლად ჰგრძნობ, რამდენად ნაძალადევი და ხელოვნურია ის კედელი, რომელიც სხვა-და-სხვა ხალხთა შორისაა ამართული. თან და თან ძვალ-რბილში გაჯდება რწმენა, რომ ადამიანი რაც უნდა ეროვნებას ეკუთვნოდეს, ყველა სწორისა და ერთგვარ ბუნების პატრონია, ცხოვრების უდიადესი საკითხები ერთნაირად აინტერესებს ყველას, როგორც ყველას ერთნაირად სწყურიან ერთი მზე და ამ მზის ყველასათვის ერთი ცხოველ მყოფელი შუქი.

ვუსურვებთ კეთილ წარმატებას იდეურ საზოგადოებრივ კლუბს და გულ-წრფელ მადლობას უძღვნით იმის მხნე მეთაურს გიორგი მიხეილის ძეს თუმანიშვილს.

ილია ნაკაშიძე.

სასამართლო

ბოქაულის და მამასახლისის საქმე.

ამ დღეებში ერევანში ტფ. სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე ერევნის გუბერნიის ახალბაიაზეთის პირველ ნაწილის ბოქაულის თავ. მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ამავე მაზრის მამასახლისის აბუტალიბ ჰასან-ოღლისა. ამათ ჰბრალდებოდათ სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა.

1906 წელს ერევნის დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, თათრის სოფელი კარაკალა სომხის სოფელ ზარზე თავდასხმისთვის 204 მანეთით ყოფილა დაჯარიმებული, ამ განკარგულების აღსასრულებლად გაუგზავნიათ ბოქაული თავ. მ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელსაც მისვლისთანავე სოფ. კარაკალაში, მოუხდენია ყრილობა და წაუკითხავს რუსულად გენერალ-გუბერნატორის განკარგულება, ხოლო მამასახლისს აბუტალიბს გადუთარგმნია თათრულად და წინადადება მიუცია შეეგროვებინათ 358 მანეთი, ნაცვლად 204 მანეთისა, სოფლელებს მაშინვე აურჩევიათ შვიდი ამკრები, მათაც აუკრებიათ 358 მან. და ჩაუბარებიათ მამასახლისისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს იქვე ბოქაულის ბაგრატიონ-მუხრანსკისთვის გადაუცია. როდესაც სოფლელებს ბარათი მოუთხოვნიათ, ბოქაულს მამასახლისის პირით უთქვამს, ამისთანა გადასახადებზე ბარათებს არ ვაძლევთო. მეორედ კიდევ მოუხდენია ბოქაულს ყრილობა და ისევ იმ მამასახლისის პირით გამოუცხადებია: გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით სოფ. კარაკალას მცხოვრებთაგან 16 კაცი უნდა დავატუსაღოთო. მალე შეუსრულებია კიდეც ეს. საღამომდის შეკრული ჰყოლია, საღამოს გაუხსნევინებია და მოუთავსებია იქვე ერთს ოთახში, ხოლო მეორე დღეს კიდევ შეუკვრევინებია და მახლობელ სოფელში გაუგზავნია. მეორე დღეს დატუსაღებულთა ნათესა-

ებს, გაუგიათ რა მამასახლისისაგან, რომ მათი განთავისუფლება შეეძლოთ რვა თუმნის წარდგენით, მოუგროვებიათ ეს ფული და გარეშეთა თანადასწრებით ჩაუბარებიათ მამასახლისისთვის, ხოლო მამასახლისს, ბოქაულ თან მოლაპარაკების შემდეგ უბრძანებია დატუსაღებულთა განთავისუფლება. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფ. კარაკალას მცხოვრებთ გაუგიათ, რომ გენერალ-გუბერნატორის მიერ მხოლოდ 204 მანეთით ყოფილან დაჯარიმებულნი, არც დატუსაღებაზე და არც ზედმეტ ფულზე, განკარგულება არა ყოფილა, და აღუძრავთ საჩივარი. ამის გამო ბოქაული თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და მამასახლისი აბუტალიბი პასუხისგებაში მიუციათ. ასე გადმოგვცემს ამ საქმეს საბრალმდებლო ოქმი.

თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გამოძიების დროს განუცხადებია: ვიყავი სოფ. კარაკალაში და, გენერალ-გუბერნატორის განკარგულების თანახმად, მოვითხოვე ჯარიმა 204 მანეთი. ეს ფული მივიღე მამასახლისისაგან და ბარათიც მივეციო. მამასახლისს კი უთქვამს, 204 მანეთი ჩავაბარე ბოქაულს და ბარათიც მივიღე, ხოლო ფული ყრილობაზე არ მომიგროვებია. ამას გარდა სხვა გადასახადებიც ჰქონდათ ამკრებებს მოგროვილი და ამასში მივეცი ერთიანი ბარათი 388 მანეთისა. რაც შეეხება საჩივარს, სულ მტრობით ჩასდინო.

პალატაში 16 მოწამე იყო დაბარებული. 9 მოწამემ ბრალდებულების წინააღმდეგ აჩვენა. დანარჩენი მოწმეების ჩვენებით-კი გამოირკვა, რომ ყალბი მოწმობა პირად ანგარიშებზე ყოფილა აშენებული.

ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე პ. გედევანიშვილი, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა.

პალატამ ორივე ბრალდებული გაამართლა.

დაჭრა.

16 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე არ. ტერ-მარტირუზოვისა.

1909 წელს, 8 სექტემბერს ჩხუბი მოსვლიათ არ. ტერ-მარტიროზოვს და მ. გეგელიანცს. ტერ-მარტიროზოვს დანით დაუჭრია უკანასკნელი ორ ადგილას, რაზედაც პასუხისგებაში მიუციათ. ტერ-მარტიროზოვს გამომძიებლისთვის უჩვენებია, მე სკამი მიმქონდა და სრულიად შემთხვევით მოვახვედრე გეგელიანცსაო, მან კი მიწოდა თავხედი და თანაც დაუძახა ლავის ნათესავებს საშველად და ამ დროს რომ თავი დამეცვა, დანა ამოვიღე და როგორ დავჭერი გეგელიანცი აღარ მახსოვსო.

სასამართლოში 4 მოწმეს გამოჰკითხეს. ბრალდებულს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ს. მ. მანდენოვი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული ტერ-მარტიროზოვი და 6 თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ს. გლახაშვილის პიესის „წყურვილი“-ს შინაარსი უკვე გავაცანით მკითხველებს (იხ. „დროება“ № 279). ეს პიესა ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა სამშაბათს, 15 დეკემბერს.

ავტორს, ეჭვი არ არის, უნდოდა სიმბოლიურად დაეხატა დღევანდელი ვითარება, მდგომარეობა. მართლაც, კედელია აყუდებული, ამასთან უზარმაზარი კედელი. ყველაფერი დახშულია და მოწამლული. ტანჯვა და ვაება გაისმის გარეშემო. ცხოვრება შებორკილ-შებოჭილია. საჭიროა მედგარი იერიში კედლის დასანგრევად და დატყვევებულ ცხოვრების განსათავისუფლებლად...

აზრი, როგორცა ჰხედავთ, კარგია, მაგრამ პიესის ავტორმა, ბ-ნმა გლახაშვილმა, ვერ დასძლია იგი და პიესა სუსტი გამოდგა. პიესა პრიმიტიულად არის დაწერილი. მომქმედნი პირნი მხოლოდ ერთს გაიძახიან: მზე არ გვინათებს, წყალი არა გვაქვსო. ოთხ პაწაწკინა სურათში ერთი და იგივე გაისმის. აზრი სულ არ არის განვითარებული, გაშლილი, შემოქმედებით ხორც-შესხმული. ავტორის ფანტაზიას სულ არ უმუშავნია. ასეთი პიესა სავსე უნდა იყოს წარმტაც სურათებით, რომ დაატყვევოს მაყურებლის გონება და გადაუშალოს ახალი ჰორიზონტები. გონებას ფრთას ვერ აშლევინებს პიესა, საზრდოს ვერ აძლევს...

ჩვენ წარმოდგენამაც ვერ დაგვაკმაყოფილა. ეტყობა-კი ცდილან: დაუმზადებიათ ახალი დეკორაციები, გაუზეპირებიათ როლები, მაგრამ პიესამ მაინც უგულოდ ჩაიარა. შეიძლება ამისი მიზეზი პიესის შინაარსის სიღარიბეც იყო. თავშივე, პირველ მოქმედებაში ჩერქეზიშვილმა რაღაც ყალბი ტონი აიღო. დაიწყო პათოსით, რაც სრულიად შეუფერებელია ასეთ პიესისთვის. პათოსითვე, აწეული კილოთი ლაპარაკობდნენ ივანიძე, სვიმონიძე და სხვანი. ჩვენის აზრით-კი უფრო შესაფერი იყო ყრუ, დაჩაგრული კილო, ჩუმი და იდუმალი ჩივილი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩერქეზიშვილმა მეტად უგემურად იმღერა „იავ-ნანა“. თითქოს ყელში გაეჩხირა რაღაცაო. დოლოცვილმა, თუ სიმღერა არ იცოდა, სულ არ უნდა ემღერა, ან მოკლედ უნდა მოეჭრა.

მეორე მოქმედება სასაფლაოსთან სწარმოებს. შეკრებილია სოფელი და საჭირ-ბოროტო საკითხზე თათბირობს. თუმცა პიესა ამ მოქმედებისთვისაც ცოტა მასალას იძლევა, მაგრამ მაინც საჭირო იყო მეტი ხალხი, მეტი მოქმედება და მოძრაობა.

მცირედი სიცოცხლე დაეტყო მესამე სურათს, მაგრამ უფერულობა ვერც ამას ასცდა. ვერ ჩაატარა კარგად ამ სურათში მონოლოგი ჯავახიშვილის ქალმა. ძალზე ცხარობდა, რის გამო ენაც-კი წაუბორძიკდა. კარგი იყო მბრძანებლის როლში კ. მესხი. დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს რეჟისორს სახლის შუა სცენაზე დადგმა. ისე სჩანდა, თითქოს ცალ მხარეს სახლი ჩამონგრეულა და ნახევარ-ნახევარი ფანჯრები დარჩენილაო. ეს სახლი გვერდზე უნდა მიედგა.

ცუდად ჩაიარა მეოთხე სურათმაც. საოცარი დამბაჩებია ჩვენ სცენაზე. ყველა სხვა თეატრში დამბაჩა სწორედ მაშინ გავარდება ხოლმე, როცა საჭიროა, აქ-კი ერთი საათის ჩხაკუნია საჭირო. ჯერ მოსაკლავი კაცი კვდება და მერე დამბაჩის ხმა გაისმის ხოლმე. კედელიც დროზე ვერ აფეთქდა: ჯერ ჩამოინგრა და მერე აფეთქება გაისმა. მზის სხივებმაც ძალიან გვიან შემოაშუქეს ყველა ამასზედ დაერთო უდიდესი, თითო საათიანი ანტრაქტები...

ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

წარმოდგენა ხაშურში. კვირას, 20 დეკემბერს, დაბა სურამში ადგილობრივ სამრევლო საეკლესიო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება ქართულსა და რუსულ ენაზე წარმოდგენები.

აღმოსავლეთი

კორეის ანექსია.

იაპონიის ელჩმა განაცხადა პარიზში: ჩვენმა მთავრობამ უკვე შეატყობინა რუსეთის მთავრობას, რომ შეიძლება იაპონიამ კორეია შეიერთოსო.

საუბარი კორეელ პრინცთან.

კორეის ელჩად ნამყოფს პრინც ჩინპომოის (პეტერბურგში ცხოვრობს) უთქვამს „რეჩ“-ის თანამშრომლისთვის:

„კორეის ანექსიის შესახებ რუსულ პრესაში გამოთქმული იყო აზრი, რომ იაპონია სხვა და სხვა საფინანსო მოსაზრებით ვერ გაჰბედავს ასეთს საქმესაო. მე არ ვეთანხმები ამ აზრს და მგონია, რომ ჩვენი ქვეყნის შეერთება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს იაპონიას. კორეის ანექსია დიდ სარგებლობას მოუტანს იაპონიას, როგორც სტრატეგიულის მხრით, ისე ვაჭრობის მხრით. იაპონია იმ წამსვე გაიყვანს კორეიაში სავაჭრო და სტრატეგიულ რკინის გზებს, დააწესებს ბაჟებს უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე.

— შესაძლებელია, რომ იაპონიამ რუსეთის ნებადაურთველად შეიერთოს კორეია?

— ეგ ადვილად შესაძლებელია, რადგან რუსეთს ძალა აღარა აქვე შორეულ აღმოსავლეთში. კორეიაში არსებობს მცირე პარტია რუსეთის მომხრეთა, მაგრამ მას გავლენა არა აქვს ხალხზე.

მოძრაობა ჩინეთში.

ხალხში თუ ჯარში თან და თან ძლიერდება უკმაყოფილება მთავრობის მოქმედებით. მთავრობა ბეჯითად ცდილობს განამტკიცოს მანჯურთა ბატონობა ჩინეთში, მაგრამ სწორედ ეს გარემოება უფრო ხელს უწყობს პატრიოტულ მოძრაობას ჩინეთით ხალხში, პეკინს ახლო დაბანაკებულ ჯარში სისხლის ღვრაც მოხდა მანჯურია და ჩინელ პოლკებს შორის. რომ ბოლო მოეღებოდა ამ ტომობრივ ბრძოლას, მთავრობამ პეკინიდან გაიყვანა ჩინელი დივიზია და ბუნჩოუში დააბინავა. ბოლოს დროს მთავრობამ პროვოკატორების საშუალებით დაიწყო ბრძოლა პატრიოტულ მოძრაობის წინააღმდეგ. ამას წინად ქალ. შანჰაიში შუადღისას მოჰკლეს ორი პროვოკატორი, რომლებიც წინად იაპონიაში ცხოვრობდნენ თურმე, იქ გაიცნეს ჩინელ რევოლიუციონერთა წრეები და ეხლა შანჰაიში მისულიყვნენ სამშობლოში დაბრუნებულ რევოლიუციონერების გასაცემად.

ქალთა განათლება ჩინეთში.

ჩინელ ქალთა განათლების საქმემ შეფერხებულმა კონსერვატიულ პარტიის მეცადინეობით, ამ ბოლო დროს ისევ წინ წაიწია. ჩინეთში განსვენებულ დედოფალ ცი-სის დროს გაიხსნა პირველი სახელმწიფო და კერძო სკოლები ქალებისთვის, თუმცა ამ საქმეს დიდად ეწინააღმდეგებოდა მრავალი გავლენიანი მოხელე. ცი-სის გარდაცვალებისა და იუანშიკაის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ქალთა განათლების საქმე მთლად ჩაქრა, რადგან რეაქციონერმა მოხელეებმა ყოველი ღონე იღონეს იმის დასამტკიცებლად, რომ განათლება სულ მეტი ბარგია ქალებისთვის, ამასთანავე მავნებელია ოჯახობრივ ცხოვრებისთვის და საშიშია ჩინეთის სახელმწიფო წეს-წყობილებისთვის, რადგან განათლება ჰქმნის რევოლიუციონერ-ქალებსაო. მაგრამ ბოლოს დროს, ეტყობა, მთავრობამ აზრი შეიცვალა ამ საქმეზე: პრინცმა რეგენტმა ჩუნმა გამოსცა ბძანება, რომლის თანახმად საოლქო ქალაქებში სემინარიები უნდა გაიხსნას მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად. აქამდე საქალებო სკოლები არსებობდა მხოლოდ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც პეკინი, ტიანძინი, შანჰაი, კანტონი და სხვა. სწავლების საქმე ამ სკოლებში ცუდად იყო დაყენებული, მასწავლებლებად იყვნენ სულ უცხოელი ქალები: ევროპიელები და იაპონელები. მასწავლებელი ჩინელი ქალები თითქმის სულ არ იყვნენ, რადგან მთელ ჩინეთში ერთი სემინარია არსად არსებობდა მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად.

ჩინური პრესა სიხარულით მიეგება მთავრობის ასეთს ბრძანებას.

უცხოეთი

შეკითხვა ფრანგ მოხელეთა ფედერაციებზე.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მემარჯვენე წევრები ბიუჯეტზე კამათის დროს შეეკითხნენ იუსტიციის მინისტრს, რანაირ ღონისძიების მიღებას აპირებთ იმ მოხელეთა ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც ამას წინად დაარსდა და რომელშიაც შევიდნენ სახელმწიფო მოხელეთა მსხვილი ამხანაგობანიო. 5 დეკემბერს ეს შეკითხვა ტრიბუნიდან განმარტა ნაციონალისტმა დეპუტატმა ბერიმ. იუსტიციის მინისტრმა უპასუხა, რომ როგორც მოხელეთა ამხანაგობები, ისე მათი ფედერაციები ნებადართულია 1901 წლის კანონით და მის შესაფერად გამოცემულ ცირკულიარებით, იმ პირობით კი, რომ მოხელეთა ამხანაგობები არ შეუერთდნენ მხოლოდ მუშათა ორგანიზაციებს. ამასთანავე იუსტიციის მინისტრს ბარტუს შეეკითხნენ მოხელეთათვის შედგენილ ახალ წესდების იმ მუხლის შესახებაც, რომლითაც აკრძალება (ეს წესდება ჯერ დამტკიცებული არაა პალატებისაგან) მოხელეთა ამხანაგობათა ფედერაცია. ბარტუმ უპასუხა, რომ მთავრობა წინანდებურად მხარს უჭერს ამ მუხლსაო და იმედი გამოსთქვა, რომ თვითონ მოხელეებიც აღარ მოითხოვენ ფედერაციის დაარსების უფლების დატოვებას, რადგან ახალი წესდება მათ მტკიცე გარანტიას აძლევს უფროსთა თვითნებობის წინააღმდეგო.

რუსეთი

◆ **რუსეთის საზღვრებზედ.** სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ ახალ წლიდან რუსეთის მოსაზღვრე ჯარების უფროსებად ახალგაზრდა გენერლებს დანიშნავენ. მთავრობის აზრით ახალგაზრდა გენერლები უფრო გაცნობილნი არიან რუსეთის ცხოვრებასთან, ვიდრე ძველი გენერლები.

◆ **მინისტრთა საბჭოში.** სახელმწიფო სათათბიროში ხმა დადის, რომ მინისტრებს დიდი უთანხმოება მოუვიდათ შორეულ აღმოსავლეთის ამბების გამო. ზოგიერთი მინისტრები იმ აზრისანი ყოფილან, რომ შორეულ აღმოსავლეთში ომი მოსალოდნელი არ არის, ზოგნი კი ომის აუცილებლობას აღიარებენ.

◆ **ფინლიანდიაში.** როგორც ვიცით ფინლიანდიაში ახალი გენერალ-გუბერნატორი დაინიშნა. (გენერალი ზეინი). ზეინის მოადგილის, ბეკმანის დროს, გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში საქმის წარმოება ორ ენაზედ სწარმოებდა, რუსულ და ფინურზედ, ეხლა კი ის აღარ იქნება, საქმის წარმოება რუსულ ენაზედ უნდა იყოს.

◆ **რას იღებს ბურცევი.** ბ-ნ მინსკის ბურცევისთვის უკითხავს, პარიზის გაზეთებში ბევრი თქვენი წერილი იბეჭდება და საინტერესოა რამდენს იღებთო. ბურცევს მინსკისთვის უპასუხნია: გაზეთის თითო სვეტში 1500 ფრანკს ვიღებ, მაგრამ ეს ფული სულ პროვოკატორებთან ბრძოლაში მეხარჯებაო. მარტო გარტინგის საქმე ათი ათასი ფრანკი დამიჯდაო!

◆ **დეპუტატ ბროდსკის საქმე.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბროდსკის ხომიაკოვისთვის ხელმეორედ გადაუცია განცხადება, დეპუტატობაზედ უარს ვამბობო. ბროდსკის პირველი განცხადება ხომიაკოვმა არ მიიღო; თქვენი ხელი ნოტარიუს შეამოწმებინეთო. ბროდსკის აუსრულებია ეს მოთხოვნა. ბროდსკი სულ ეხლახან ოდესიდან აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად და მემარჯვენეებმა იმწამსვე გაილაშქრეს მის წინააღმდეგ და როგორც ვხედავთ გაიმარჯვეს კიდეც იმ მხრით მაინც, რომ ბროდსკი აიძულეს უარი განეცხადებინა დეპუტატობაზედ.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1909 წელს 19 დეკემბრისათვის გამგეობის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა საჩაიე ცხელი საჭმლით ქალაქის ბაღში ანდრეევისა და აბასთუმნის ქუჩების კუთხეში.
პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე ქალაქის გამგეობის საიჯარო განყოფილებაში. (3—6.—2)

კირვილი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ :
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგ.ნ, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
ს ა ღ ა მ ო თ ი :
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი
წ ი გ ნ ი
„ნატო გაგუნია“.
30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად
გამოცემა ქარ. დრ. საზ—ხა
ფ ა ს ი 30 კ.
ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об—ва. (10—10)

იშვიათი შემთხვევა
2 მ. 85 კ.-დ
დამზადებული ქალის მშვენიერი საზამთრო ზედა იუბკა რბილ ტრიკოსი, ლამაზი, მკვიდრი, შეკერილი პარიზის უკანასკნელ მოდაზე. იგზავნება ფოსტით ფასდადებით, უბეოდ, გასაგზავნი ფასი 55 კ. ვინც ერთად სამ იუბკას დაიბარებს, გაგზავნის ფასი ჩვენია. საშიში არაფერია: ვისაც არ მოეწონება, ფულს დაუბრუნებთ. ასეთივე იუბკა უკეთეს მატერიისა და უფრო ლამაზად დამზადებული 3 მან. 50 კ. ვთხოვთ მსურველთ, მოგვწერონ, რა სიგრძისა იყოს და აგრეთვე წელის რაოდენობა სანტიმეტრით ან წერილთან ერთად გამოგზავნონ ზომა. ციმბირში მეტი 80 კაპ.
ადრესი: Фабрика А. Клвмана, Лодзь, N 18. (4—ფ.—3)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

მათრახი
და სალამური
ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი
ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად
პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული
ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.
წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.
ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.
1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზამლეთელი, თურდოს-პიპელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მაჭაქიაშვილი, პიტ, ტ. რამიშვილი, ჩუხაძე, რუშაველი, ტუქაიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.
ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе. (10—6.—7)

სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლო-უგურული“ ქუთაისში.
● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—13)

პროვოდნიკის
1897 წ.
1908 წ.
1888
ФАБРИЧ. КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА
ПОСТАВЩИКИ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА
ამხანაგობა
რ ი გ ა შ ი
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
მომავალ დღესასწაულებისთვის
მიღებულ იქმნა შემდეგი ნივთები:
შობის ხეებისთვის ასბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.
რეზინის სათამაშოები
მხეცები, ტიკინები და ბურთები
დიდ-მალი უჯრებიანი სუფრები
იყიდება ცალობით და არშინობით.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.